დიდი ბრიტანეთის რეადქციის ქცევის კოდექსი

მუხლი 1 (სიზუსტე)

1. პრესამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები და არ გამოაქვეყნოს არაზუსტი, შეცდომაში ან დამახინჯებული ინფორმაცია, მათ შორის ფოტოები;
2. მნიშვნელოვანი უზუსტობა, შეცდომაში შემყვანი ან დამახინჯებული განცხადება უნდა შესწორდეს დაუყოვნებლივ და თანაზომადად - საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოქვეყნდეს ბოდიშიც. იმ შემთხვევაში, როცა საქმე მარეგულირებელსაც ეხება, თანაზომადი შესწორება უნდა შეთანხმდეს მარეგულირებელთან წინასწარ.
3. მართალია, პრესას აქვს თავისუფლება, იყოს მიკერძოებული, მაგრამ მან მკვეთრად უნდა გამიჯნოს ერთმანეთისგან კომენტარი, მოსაზრებები და რეალური ფაქტები.

მუხლი 12 (დისკრიმინაცია)

4. პრესამ თავი უნდა აარიდოს წინასწარგანწყობილ ან ნეგატიურ მითითებას ადამიანის რასაზე, კანის ფერზე, რელიგიაზე, გენდერზე, სექსუალურ ორიენტაციაზე ან ფიზიკურ და გონებრივ დაავადებაზე ან შეზღუდულ შესაძლებლობებზე.
5. ადამიანის რასაზე, კანის ფერზე, რელიგიაზე,სექსუალურ ორიენტაციაზე ან ფიზიკურ და გონებრივ დაავადებაზე ან შეზღუდულ შესაძლებლობებზე მითითება დაუშვებელია, თუ ის პირდაპირ კავშირში არ არის გადმოსაცემ ამბავთან.